
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი



შრომები
II

ბათუმი
2002

გურამ გრიგოლია

პირველყოფილი ადამიანის უძველესი ნაკვალევი აჭარაში

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვის ხანის ძეგლების რაოდენობრივი მონაცემებისა და მათი კვლევა-ძიების მასშტაბების გათვალისწინებით საქართველო კლასიკური ქვეყანაა.

მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ საქართველოში, კერძოდ დმანისში, მიზანდასახული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩნდა ევრაზიაში უძველესი Homo ergaster-Homo erectus-ის ნაკვალევი, რომელიც ე.წ. ოლდუვეის კულტურის წრეში ექცევა და მისი ასაკი მილიონ 800 ათასი წლით არის განსაზღვრული [4, გვ. 9-41].

დმანისმა თავისი სენსაციური აღმოჩენა-ადამიანის ქვედა ყბა 16 კბილით, ამ ათიოდე (1991) წლის წინ შემოგვთავაზა და მას შემდეგ მისი ყოველი ახალი საველე სეზონი აოცებს და ამდიდრებს მეცნიერულ სამყაროს უნიკალური ანთროპოლოგიური (4 თავის ქალა), პალეოგეოლოგიური და არქეოლოგიური (ქვის მასალა) ახალ-ახალი აღმოჩენებით [7, გვ. 1-47].

როგორც ცნობილია, საერთოდ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ქვის ხანის ძეგლების კვლევა-ძიებას თითქმის ერთი საუკუნის ისტორია გააჩნია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენში რამოდენიმე ასეული ძველქვის ხანის ძეგლია გამოვლენილი და შესწავლილი - მღვიმური ნამოსახლარი იქნება იგი თუ ღია ცისქვეშ მოწყობილი „მუდმივი" თუ „დროებითი" სადგომი. რაოდენობრივი თვალსაზრისით უძველეს ადამიანთა ეს ნაბინავრები საქართველოს რეგიონებში შემდეგი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი: უძველესი დროის ღია ცის ქვეშ მოწყობილი სადმგომების სიუხვით ხასიათდება საქართველოს შავიზღვისპირა ზოლი აფხაზეთ-სამეგრელოს ფარგლებში. მღვიმური ნამოსახლარების სიხშირე ტიპიურია რიონყვირილას აუზის ქვეყნებისათვის. ცალკეული გამონაკლისების გარდა არსებითად ღია სადგომებითაა წარმოდგენილი შიდა ქართლი, ისტორიული ქვემო ქართლი (წოფის გარდა), მდ. ხრამის ხეობა, ჯავახეთის ზეგანი და იორ-ალაზნის აუზი [6, გვ. 87].

სტატისტიკური თვალსაზრისით ძველქვის ხანის ძეგლების 90% დასავლეთ საქართველოშია მიკვლეული და მათი დიდი ნაწილი აფხაზეთ-სამეგრელოს ზღვიურ და დიდ მდინარეთა ტერასებზეა განლაგებული, რაც იმას მოწმობს, რომ პლეისტოცენში უთუოდ ხელსაყრელი პირობები არსებობდა დასავლეთ საქართველოში ადამიანის ადრე განსახლებისათვის და შემდგომი ნორმალური განვითარებისათვის.

რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ამ მხრივ დღემდე სავსებით განსხვავებული სურათი ჩანდა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თანამედროვე გურიისა და აჭარის ტერიტორიაზე, მაშინ როცა ჩვენი ქვეყნის ეს შესანიშნავი ნაწილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთიანი აუზის განუყოფელი ნაწილია და ისევე დაყურსულია ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ წიაღისეული სიკეთეებით, როგორც ძველი ქვისხანის ძეგლებით მოფენილი სამეგრელო და აფხაზეთი.

თუ არ ჩავთვლით კარსტული წარმონაქმნების სიმცირეს (მღვიმეები, ძაბრები), რაც გაშიშვლებული ცარცული ქანების ნაკლებობით არის განპირობებული, გურია-აჭარის ტერიტორიაზე სავსებით ანალოგიური რელიეფური ფორმები და სხვა გეოგრაფიულ-გეოლოგიური ნიშნებია წარმოდგენილი, როგორსაც ვხედავთ აფხაზეთ-სამეგრელოს ანუ ცენტრალური კოლხეთის ფარგლებში.

აჭარის გეოგრაფიულ-გეოლოგიურ შესწავლას საკმაოდ დიდ ხნის ისტორია გააჩნია. ასევე ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება ამ მხარის წიაღისეულმა და საერთოდ ბუნებრივმა სიმდიდრეებმა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ გეოგრაფიულ-გეოლოგიურ სკოლას ალ.ჯავახიშვილისა და ალ.ჯანელიძის ხელმძღვანელობით [9, გვ. 8].


აჭარის ტერიტორია მეტად რთული რელიეფით ხასიათდება. სხვადასხვა მიმართულების მაღალი ქედები, მათი განშტოებები, ღრმა და ვიწრო ხეობები, ზეგნები, პლატოები, გორაკები და ბორცვები, ვაკეები და მათზე განვითარებული მიკრო ფორმები მრავალფეროვანს ხდის მის გეომორფოლოგიურ ლანდშაფტს.

გეოგრაფები აჭარის ფარგლებში გამოყოფენ შვიდ თუ რვა ჰიფსომეტრულ ზონას, რომელთა შორის პირველია 0-200 მ სიმაღლეზე მდებარე ზღვისპირა დაბლობის ზონა, რომელიც ვიწრო ზოლად ვრცელდება მდ. ჩოლოქიდან სარფის შესართავამდე და აჭარისწყლისა და სხვა მდინარეების ქვემო წელზეც ვრცელდება. მეორეა მაღალი გორაკ-ბორცვოვანი ზონა 200-500 მ სიმაღლემდეა. მესამე ზონა 500-1000 მ შორის არის მოქცეული. მეოთხე 1000-1500 მ სიმაღლისაა. მეხუთე ზონა წარმოდგენილია აჭარა-გურიის და არსიანის ქედებზე 1500-2000 მ სიმაღლეზე. მეექვსე 2000-2500 მ სიმაღლის ზონა ვრცელდება აჭარა-გურიის, არსიანის, ჭანეთის და შავშეთის ქედებზე, მათ თხემებზე და ფერდობებზე. მეშვიდე ზონა 2500-3000 მ-მდე და ზემოთ მდებარეობს და ქედების

თხემებზე ცალკეული კუნძულების სახით არის წარმოდგენილი [8, გვ. 8-9; 10].

მორფოლოგიურად ზონა ძალზე დანაწევრებულია მთის ტიპის მდინარეებით: ჭოროხი, აჭარისწყალი, კინტრიში, ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი, ჭვანა, სხალთა და მათი შენაკადთა ვიწრო და კანიონისებური ხეობებით.

აჭარის რელიეფის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს დიდ სიმაღლეებზე



სურ. 1. ბრტყელი ერთფუძიანი ნუკლეუსი

განლაგებული მოსწორებული ზედაპირები, რომლებიც მკვლევართა აზრით დენუდაციურ სიბრტყეებს წარმოადგენენ.

გორაკ-ბორცვოვანი რელიეფის გამომუშავებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება ხმელეთის ეპიროგენეტურ მოძრაობას, რის მშვენიერ დასაბუთებას წარმოადგენს ხეობებში გავრცელებული 8 ტერასული საფეხური. სპეციალისტების (ს.კუზნეცოვი, ს.ტრიფონოვი) აზრით, პირველი 20 მ და მეორე 40-50 მ. სიმაღლის საფეხური ახალი წარმოშობისაა, III-IV დაკავშირებულია შავი ზღვის ქვაბულის მესამეულის შემდგომ ისტორიასთან, ხოლო VII-VIII კი უფრო ძველია.

აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ლანდშაფტის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს კლიმატი წარმოადგენს, რომელიც მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია ნოტიო სუბტროპიკული, ხმელთაშუაზღვის ტიპის მშრალი სუბტროპიკული, ზომიერი და კონტინენტური კლიმატი [8, გვ. 41].

როგორც ამ მოკლე ექსკურსიდან ჩანს, აჭარის რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშან-თვისებები თითქმის ისეთივეა, როგორც ეს არის ნიშანდობლივი აფხაზეთ-სამეგრელოს სინამდვილისათვის, სადაც როგორც უკვე ითქვა რამოდენიმე ათეული, თუ ასეული ძველიქვის ხანის ძეგლია მიკვლეული და შესწავლილი, მაშინ როცა გურია და აჭარა პალეოლითური ძეგლების გავრცელების არქეოლოგიურ რუკაზე თეთრი ლაქის სახით არის წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით ითქმის აჭარაზე, თორემ გურიაში 1959 წლის ზაფხულში სოფ. ხვარბეთში (ოზურგეთის რ-ნი, ოზურგეთისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა ნაპირზე მოვიძიეთ აშკარად მუსტიეური ასაკის მასალები: სწორპირა სახოკი და 3 ც. ანატკეცი, რომლებიც სქელი თეთრი ფერის ემალისებური პატინით არის დაფარული.

ხვარბეთის აღმოჩენამდე და მით უფრო მის შემდგომ ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ რეგიონში პალეოლითური ადამიანის ნაკვალევის მოჩვენებითი არ არსებობა შემთხვევითია, არა ორდინალურია და მისი საერთო მეცნიერული ფერხულიდან ამოვარდნა გარკვეული ობიექტური მიზეზებით უნდა აიხსნას, ასეთ მიზეზთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ აჭარისათვის ნიშანდობლივი დიდი (3000 მეტ) ატმოსფერული ნალექები, რამაც დროთა განმავლობაში გამოიწვია რელიეფის ძველი ზედაპირის დენუდაცია - დაშლა და მასზე არსებული უძველესი მასალების გადარეცხვა.

ატმოსფერული ნალექების მოჭარბებას უნდა მივაწეროთ აგრეთვე აჭარის ბოტანიკისათვის დამახასიათებელი სქელი მცენარეული საფარის არსებობა, რომელიც საიმედოდ ნიღბავს ნიადაგის ზედაპირს და ამნელებს არქეოლოგიური მასალის ხილვადობას.

დასასრულს, მესამე და უმთავრესი მიზეზთაგანი მაინც ის უნდა იყოს, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აჭარაში დღემდე არ ჩატარებულა არცერთი მიზანდასახული, სპეციალიზირებული საველე-არქეოლოგიური ექსპედიცია (ძველიქვის ხანის), როგორც ამას ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და სამეგრელოში გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული, ქართველი, რუსი და ევროპელი მეცნიერების მონაწილეობით.

ბევრად უფრო მოკრძალებულია ქვის ხანის ძეგლების ძიების ისტორია აჭარაში. იგი იწყება 1968 წლიდან, როდესაც ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ, ჩვენი




სურ. 2. სანაპირო ნაპარალი

მონაწილეობით მოიხილა ზღვის სანაპირო ზოლი მდ. ჩოლოქიდან მდ. ჭოროხამდე და ერთი ათეული ახალიქვის ხანის ძეგლი გამოავლინა. აქედან მოკიდებული დღემდე აჭარის ახალიქვის ხანის შესწავლის საქმეში წარმატებით მოღვაწეობს დოც. სერგო გოგიტიძე, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით არა ერთი ახალი

ძეგლია მიკვლეული, გათხრილი და შესწავლილ – გამოქვეყნებული ცალკეული სამეცნიერო წერილებისა თუ სოლიდური მონოგრაფიების სახით [2]. ამიტომ არის, რომ საქართველოს ისტორიაში ეს „რევოლუციური“ ხასიათის პერიოდი ყველაზე უკეთ აჭარა-გურიის ძეგლების საფუძველზეა გაშუქებული.

რაც შეეხება ძველიქვის ხანის ყველა პერიოდის ძეგლს, როგორც უკვე ითქვა, აჭარა-გურიის რეგიონი დღემდე მწვავედ მოისაკლისებდა. მიმდინარე წლის ზაფხულში, ბოლოს და ბოლოს ყინული თითქოს გალღვა და ერთმა



სურ. 3. ლევალუაზური ანატკეცი

ახალმა, საინტერესო აღმოჩენამ ამ საჩოთირო საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის საშუალება მოგვცა.

როგორც ყველა ახალ მოვლენას, ისე ამ აღმოჩენასაც თავისი პატარა ისტორია გააჩნია, რომელიც შემდეგი სახით განვითარდა. 2002 წლის ივლის-აგვისტოში პროფესორების ამირან კახიძისა და შოთა მამულაძის ხელმძღვანელობით მომუშავე გონიო-აფსაროსისა და ქობულეთი-ფიჭვნარის ექსპედიციებში მონაწილეობის დროს საშუალება მომეცა გარკვეული მეცნიერული ინტერესით, მცირე ხნით (4 დღე) ავსულიყავი მაღალმთიანი აჭარის კურორტ ბეშუმში.[1]

ბეშუმში ჩვენი ამოსვლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ხულოსა და ადიგენის რაიონის მომიჯნავე ხეობებში, ტყისა და ალპური საძოვრების ზონაში გავრცელებული ე.წ. „მეგალითური“ ტიპის ნამოსახლარების მოხილვა, რომლებიც როგორც გავრცელების ზონალობით (1500-1700 მმ სიმაღლეზე), ტოპოგრაფიით (გორისებურია), აღნაგობით (მშრალი წყობაა) და გეგმირებით (ციხე-კოშკისებურია) საინტერესოდ გამოიყურება.


ამ ძეგლებმა ჩვენი ყურადღება ჯერ კიდევ 1972 წელს მიიპყრო და მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოებიც ჩავატარეთ 1972 წ. და 2000 წელს ასლან ინაიშვილისა [5, გვ. 167-170] და შოთა მამულაძის დახმარებით.

ჩვენი წინასწარეული დაკვირვებით ხსენებული ძეგლები დიდი მეფის დავით აღმაშენებელის მიერ საქართველოში ჩამოყვანილი ყივჩაღების ნამოსახლარები უნდა იყოს, რის შესახებაც დაწვრილებით სხვა დროს გვექნება საუბარი.

ხსენებული ძეგლებისაკენ მიმავალ გზაზე, არსიანის ქედის გავაკებულ თხემზე, ზღვის დონიდან 2000-2200 მეტრს სიმაღლეზე, იქ სადაც ალპური მდელოები საუკეთესო საძოვრებს წარმოადგენს როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა საქონლისათვის, ხულოს რაიონში აღგილი ბულულას სერზე მივაკვლიეთ ძველი ქვის ხანის ძეგლს, რომელსაც ასე მოისაკლისებდა აჭარის ისტორიული სინამდვილე.

ბულულას სერზე და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაფერდებაზე, საურმე გზის პირასა და ბალახის საფარისაგან თავისუფალ მონაკვეთებზე ავკრიფეთ ანდეზიტ-ბაზალტისაგან ნაკეთები იარაღ-ანატკეცები.

მოპოვებული მასალის ზედაპირი ლეგა-მონაცრისფრო პატინით არის დაფარული და წახნაგები სუსტად აქვს გადალესილი, რაც იმის მაუწყებელია რომ მასალა ადრეა მოხვედრილი ზედაპირზე, მაგრამ თავდაპირველი განმარხების ადგილიდან შორს არ უნდა იყოს გადატანილი.




სურ. 4. ზურგიანი დანა

მოპოვებულ კოლექციაში შედის ბრტყელი ერთფუძიანი ნუკლეუსი, რომლის ატკეცის სიბრტყეზე სიგრძივი მიმართულების წინამავალი ანატკეცების ორი ფართო ნეგატივია შემორჩენილი. ნუკლეუსის განივ გვერდზე მოწყობილი დარტყმის სიბრტყე ზურგისაკენაა დახრილი და საგანგებოდ არის შესწორებული. ნუკლეუსს ზურგის მხარეს ერთი განივი ანატკეცი აქვს ჩამოცილებული, მეორე ნახევარს კი აჭრის ბუნებრივი ქერქი ფარავს. ნუკლეუსის ერთ-ერთი გვერდი, ზურგის მხრიდან მთელ სიგრძეზე ციცაბო ჩანატეხებიანი რეტუშით არის გაფორმებული, რაც იმის მან-

[1] ბეშუმში დიდებული, უანგარო მასპინძლობა გაგვიწია აქ ოჯახთან ერთად დასასვენებლად ამოსულმა ბათუმის საპასპორტო სამსახურის უფროსმა მამული ასლანის ძე მახარაძემ. უფრო მეტიც, იგი უშუალოდ ჩაება საძიებო სამუშაოებში და როგორც მეგზურმა (გვიჩვენა ახალი ძეგლები) და მეგობარმა თავი არ დაზოგა ჩვენი საქმიანობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

იშნებელია, რომ ეს უკანასკნელი ნუკლეუსად ბოლომდე გამოყენების შემდეგ სახოკის დანიშნულების იარაღად უქცევიათ. ნუკლეუსის ზომებია: სიგრძე - 8,5 სმ; სიგანე - 9,5 სმ; სისქე - 2 სმ (სურ. 1;ტაბ. I-1).



სურ. 5. სახოკი

კოლექციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია სამკუთხა მოყვანილობის ანდეზიტის მასიურ ანამტვრევზე გაფორმებული უხეში, საჩეხი იარაღი, რომლის ფართო, მორკალული, დაკბილული სამუშაო პირი უხეში, ციცაბო, ჩანატეხებიანი რეტუშით არის გაფორმებული. იარაღის ზურგი უსწორმასწოროა და ნაწილობრივ კაჭრის ქერქი ფარავს. მისი ზომებია: სიგრძე -10, 5 სმ; სიგანე - 9 სმ; სისქე - 3,5 სმ-ია (სურ. 2; ტაბ. I-2).

ლევალუაზური ანატკეცი კოლექციის ნიშანდობლივი მონაპოვარია. იგი ორფერდაა, გააჩნია სწორი დარტყმის სიბრტყე და სუსტად გამოსახული ატკეცის ბურცობი.

მისი ერთ-ერთი სიგრძივი გვერდი ადგილ-ადგილ ფხის მიმცემი რეტუშითა თუ ხმარების შედეგად მიღებული ჩანატეხებითაა დაკბილული. იარაღის მეორე სიგრძივი გვერდი გადამტვრეულია და, ამრიგად, მასზე ხმარების პროცესში თითის საყრდენი სიბრტყეა შექმნილი - როგორც ეს ზურგიანი დანებისთვის არის ტიპური. მისი ზომებია: სიგრძე - 8 სმ; სიგანე - 4 სმ; სისქე 1 სმ (სურ. 3; ტაბ. I-3).

ზურგიან დანად შეიძლება მივიჩნიოთ, აგრეთვე, კოლექციაში შემავალი ერთი ანატკეცი, რომლის მორკალური სიგრძივი გვერდი კაჭრის ქერქითაა დაფარული, ხოლო მოპირდაპირე სწორი გვერდი ხმარების შედეგად დაკბილულია. მისი ზომებია: სიგრძე - 5,5 სმ; სიგანე - 4 სმ; სისქე - 1,5 სმ (სურ. 4; ტაბ. I-4).

სახოკად უნდა მივიჩნიოთ კოლექციაში შემავალი ერთი პატარა (გადატეხილია), მასიური ანატკეცი, რომლის ერთ-ერთი გვერდი ციცაბო რეტუშითაა გაფორმებული. ზომებია: სიგრძე - 5 სმ; სიგანე - 4,8 სმ; სისქე - 1,5 სმ (სურ. 5; ტაბ. I-5).


კოლექციის კიდევ ერთი საყურადღებო ნიმუშია ანდეზიტის დისკოსებური, ორმხრივი, ბოლომდე უტილიზირებული ნუკლეუსი, რომელიც გვერდებზე ალაგ-ალაგ შემორჩენილი რეტუშის მიხედვით შეიძლება სახოკადაც ყოფილიყო ნახმარი. ეს უკანასკნელი შეიძლება მუსტიეური ხანისაც იყოს, თუმცა მის უფრო ადრეულ ასაკსაც არაფერი უშლის ხელს. მისი ზომებია: სიგრძე - 6 სმ; სიგანე - 5 სმ; სისქე - 1,5 სმ (სურ. 6; ტაბ. I-6).

როგორც მოპოვებული მასალის ცალკეული ნიმუშების შესწავლამ დაგვარწმუნა, მთიან აჭარაში ძალზე საყურადღებო არქეოლოგიურ ძეგლის აღმოჩენასთან გვაქვს საქმე, რომლის მწვავე ნაკლებობა დიდი ხანია იგრძნობოდა.


ძეგლი წინასწარეულად აშელური ხანით, უფრო კი მისი მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. ამის საფუძველს გვაძლევს მასალის ტიპოლოგია, ზედაპირის პატინირება და მათი საერთო მსგავსება ანალოგიური ასაკის ისეთ ძეგლებთან როგორიც არის ახალქალაქი I და ახალქალაქი II [3, გვ. 5-14, ტაბ. I-VII], მურჯი, ახალქალაქი III და ახალქალაქი IV - ჯავახეთში [1, გვ. 40-102, ტაბ. VI-XIII], ყარსის აშელური სადგომი თურქეთში და სომხეთის ზეგანის ძეგლები. ახალი გამოთვლებით თუ ვიხელმძღვანელებთ ძეგლის აბსოლუტური თარიღი 300-400 ათასი წლით უნდა განისაზღვროს.

მასალის სიმცირის მიუხედავად აშკარაა, რომ მთიან აჭარაში ძალზე საყურადღებო და საჭირო ძეგლის აღმოჩენასთან გვაქვს საქმე, რომლის ნაკლებობა დიდი ხანია მწვავედ იგრძნობოდა.


მასალის აღმოჩენის ადგილების ჰიფსომეტრიულ მონაცემებს (2000-2500 მმ) თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ბულულას სერზე მიკვლეული ძეგლი სეზონური სადგომია, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ზაფხულის თვეებში ალპურ საძოვრებზე ამოსულ ბალახის მჭამელ ცხოველებზე მონადირე პირველყოფილ ადამიანებს. მათი შუდმივი, ძირითადი ნამოსახლარები კი უფრო დაბალ ზოლშია საძებარი. დასასრულს კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ აჭარის სინამდვილეში ეს არის უძველესი ადამიანის ნაკვალევის აღმოჩენის პირველი ფაქტი და მომავალში ამ მიმართულებით წარმოებული, მიზანდასახული, სტაციონარული კვლევა-ძიების საფუძველზე, მდიდარი კომპლექსებისა და ახალ-ახალი ძეგლების აღმოჩენის იმედი უნდა ვიქონიოთ.



სურ. 6. დისკოსებური ნუკლეუსი



1



2



3



4



5



6

Guram Grigolia

THE EARLIEST TRACE OF PRIMITIVE MAN IN ADJARA

(Summary)

Georgia is a classical country from the viewpoint of accumulation of Stone Age sites. Apart from the unique discovery of Homo ergaster - Homo erectus in Dmanisi, several hundreds of Old Stone Age sites have been brought to light in all regions of Georgia, most of them in Western Georgia. Hitherto, the Adjara region constituted the only exception, whose most ancient finds are datable to the Mesolitic-Neolitic period, i.e. ca 10,000-9,000 years.

In the summer of 2002, while taking part in the Kobuleti-Pichvnari and Gonio-Apsarus expeditions (directed by Prof. A. Kakhidze and Prof. S. Mamuladze), Prof. Guram Grigolia traced a flake-tool made of andesitic-basaltic rocks; the tool combines: a flat, one-side, single-base nucleus, utilized nucleus, a crude chopping tool, a knife with a back, serape and flakes. The discovery was made on Bulula Ridge, Khulo district, in the high-mountain zone of Adjara. All artifacts are covered with thick, gray or whitish patina and, in terms of their state of preservation and typology, are tentatively datable to the Acheoulian period, the absolute age of which should be defined as 400,000-300,000 years.

This is the first discovery of the most ancient trace of primitive man in Adjara, giving hope of new, noteworthy discoveries as a result of future special studies along these lines.

Гурам Григолиа

ДРЕВНЕЙШИЕ СЛЕДЫ ПЕРВОБЫТНОГО ЧЕЛОВЕКА В АДЖАРИИ

(Резюме)

Грузия представляет классическую страну в смысле наличия древнейших памятников каменного века. Наряду с уникальными открытиями в Дманиси (Homo ergaster – Homo erectus), во всех регионах Грузии найдено несколько сотен памятников каменного века, большинство которых собрано в Западной Грузии. С этой точки зрения Аджарский регион, где древнейшие археологические открытия датируются эпохой мезолита и неолита (X – VIII тысячелетие до н.э.), представляет исключение.

В августе 2002 года участником археологической экспедиции Гонио – Апсароса и Кобулети – Пичвнари (руководители проф. Кахидзе А., проф. Мамуладзе Ш.) в регионе высокогорной альпийской зоны Аджарии профессором Тбилисского государственного университета Григолия Г. был найден материал нижнего палеолита: плоский, односторонний нуклеус (рис. 1), утилизированный нуклеус (рис. 6), грубо рубящее орудие (рис. 2), нож со спинкой (рис. 4), скребло (рис. 5) и левалуазский отщеп (рис. 3). Все изделия покрыты патиной темно – серого цвета. Найденный археологический материал как сохранностью, так и типологически принадлежит эпохе Ашели и абсолютный возраст приблизительно датируется 400 – 300 тысячелетиями до н.э.

В действительности Аджарии это является первым интереснейшим фактом открытия следов древнейшего первобытного человека. Будем надеятся, что дальнейшие целенаправленные раскопки откроют перспективу новых археологических находок.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.გაბუნია, სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ძველიქვის ხანა, დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994.
2. ს.გოგიტიძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა,თბ., 1988.
3. გ.გრიგოლია, ჯავახეთის ქვედა პალეოლითური ძეგლები. - მსკა, IV, თბ., 1966.
4. დმანისი, III, თბ., 2001.
5. ა.ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის შედეგები. - სდსძ, IV, თბ., 1974.
6. საქართველო ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.
7. საქართველოს პირველი ეროპელის სამშობლო, თბ., 1970.
8. ა.ტერელაძე, აჭარისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (სადისერტ. ნაშრომები გეოგრაფიული. მეცნ.კანდ.სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1961.
9. Джавахишвили А. Геоморфологические районы Грузинской ССР.,М.,1947.
10. Кузнецов С.С. Геологические очерк Аджаристана. Сб. Мат.по. геол. и петр. ССР Грузии,вып. 4,М – Л.,1935.

ტაბულების აღწერილობა:

I. 1. ბრტყელი ერთფუძიანი ნუკლეუსი; 2. საჩეხი იარაღი; 3. ლევალუაზური ანატკეცი; 4. ზურგიანი დანა; 5. სახოკი; 6. დისკოსებური ნუკლეუსი.